საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ იოსებ ხარებავას

ამავე კომისიის მაუწყებლობის რეგულირების
დეპარტამენტის უფროსის ივანე მახარაძის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო იოსებ,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2015 წლის 11 თებერვლის სამსახურებრივი ბარათის (N შ–10/107–15) პასუხად, გაცნობებთ, რომ დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა შპს „იბერია TV"-ს მოთხოვნა კომპანიის კუთვნილი NB106 ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს – ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა; ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე;

შპს „იბერია TV"-ს კუთვნილი NB106 ლიცენზიის შესაბამისად, მაუწყებლობის გეოგრაფიულ ზონას წარმოადგენს თბილისი. "ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილების შესაბამისად, თბილისი, მდებარეობს N259 სამაუწყებლო ზონაში. „საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ" კომისიის 2013 წლის N612/22 გადაწყვეტილების შესაბამისად, N259 სამაუწყებლო ზონაში ტელემაუწყებლობის პრიორიტეტები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა;
2. სათემო ტელემაუწყებლობა;
3. საერთო ტელემაუწყებლობა;

გამომდინარე იქიდან, რომ დღეს მოქმედი ტელემაუწყებლობის პრიორიტეტების შესაბამისად, შპს „იბერია TV"-ს კუთვნილი NB106 ლიცენზიით განსაზღვრულ მაუწყებლობის გეოგრაფიულ ზონაში (თბილისი – ზონა N259) სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა უფრო პრიორიტეტულია ვიდრე საერთო ტელემაუწყებლობა, დეპარტამენტის აზრით ლიცენზიის მოდიფიცირება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.

ფაქსიმილე N 1-10/134-15
13 02 2015
2+8 ფურცელი

რაც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე ლიცენზიის მოდიფიცირების საკითხს, დეპარტამენტს მიაჩნია, რომ კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილი განცხადება შეიცავს დასაბუთებულ მოთხოვნას და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პატივისცემით,

ივანე მახარაძე
13.02.15

კომისიის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის
უფროსს ბ-ნ ი. მახარაძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
ი. ხარებავას

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო ივანე,

კომისიაში შემოსულია შპს "იბერია TV"-ის წერილი კერძო მაუწყებლობის №B106 ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ. კერძოდ კომპანია ითხოვს მაუწყებლობის სახეობად საერთო ტელემაუწყებლობის განსაზღვრას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი დასკვნა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: შპს "იბერია ტვ"-ის წერილის ასლი (№7/25-15, 09/02/2015) – 1 ფურცელი

პატივისცემით,

ი. ხარებავა

11.02.2015

№3-10/107
11 02 2015
47

N-3-8

3... დეკემბერი 2015 წ

საქართველოს კომუნიკაციების

ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

შპს „იბერია-TV"-ს

დირექტორის მარიამ ჯაფარიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(კერძო მაუწყებლობის NB106 ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ)

ბატონო ვახტანგ,

როგორც მოგეხსენებათ, შპს „იბერია TV" ფლობს კერძო მაუწყებლობის N B106 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ლიცენზიის ნომერი: B106

ლიცენზიის დასახელება: კერძო მაუწყებლობის ლიცენზია

ლიცენზიის სახე: კერძო მაუწყებლობის ლიცენზია

ლიცენზიის სახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) ტელემაუწყებლობა

მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები: სატელევიზიო მაუწყებლობა მე-2 სატელევიზიო არხზე 2კვტ,

სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით,

მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი

ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების თარიღი: 29/07/2013 წ

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 29/07/2023წ

სამაუწყებლო არხის სამომავლო განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, კომპანიაში არსებული მმართველი/ხელმძღვანელი გუნდის გადაწყვეტილებით დაიგეგმა მაუწყებლობის ზონაში, კერძოდ, ქ. თბილისში განსაზღვრულიყო მოსახლეობის/მაყურებლის პრიორიტეტები სატელევიზიო ეთერის სპეციფიკასა და ხასიათთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიზნით,

09 ... 15
3+4

საქართველო თბილისი, ჩუბინაშვილის ქუჩა №41
ტელ: +995 32 296 96 20 E-mail info@iberiatv.ge

41 CHUBINASHVILI STR. TBILISI GEORGIA
TEL: +995 32 296 96 20 E-mail info@iberiatv.ge

მიმდინარე წლის იანვრის თვეში ტელეკომპანიის დაკვეთით „SOCIAL PROJECTS" LTD - ის მიერ განხორციელდა სატელევიზიო ბაზრის კვლევა.

კვლევის შედეგების თანახმად, ქ. თბილისის მოსახლეობა ტელეკომპანია „იბერია TV"-ს სატელევიზიო ეთერში ისურვებდა საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების სილვას.

შემაჯამებელი დასკვნის თანახმად, შპს „იბერია TV"-ს მაუწყებლობის ზონაში მოსახლეობაში ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ უფრო აქტუალურია საერთო მაუწყებლობა. მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნა უფრო მაღალია საინფორმაციო ფორმატზე, ვიდრე გასართობი ტიპის ტელემაუწყებლობაზე;

იმის გათვალისწინებით, რომ მაყურებლების დაკვეთაა ტელეკომპანიის ეთერში საინფორმაციო და საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემების სისტემატიურობა, მიგვაჩნია, რომ ზუსტად ეს ფაქტორი იქნება განმსაზღვრელი ტელეკომპანიის შემდგომი რეიტინგისა და შესაბამისი ყურებადობისა.

აქვე აღვნიშნავთ იმ გარემოებასაც, რომ რეიტინგების დამთელელიკომპანიების მონაცემებით, საერთო ლიცენზიის მფლობელი ტელემაუწყებლები გამოირჩევიან მაღალი ყურებადობით. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დაკვეთით 2014 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარებული კვლევა სამაუწყებლო არხების რეიტინგებთან დაკავშირებითასევე ცხადყოფს საერთო მაუწყებლობის პრიორიტეტულობას. რეიტინგის მიხედვით პირველ და მეორე ადგილს ინაწილებს საერთო საეთერო ტელემაუწყებლები. ამავე რეიტინგებიდან ირკვევა, რომ საინფორმაციო და ანალიტიკური გადაცემების ყურებადობა გაცილებით მაღალია ვიდრე გასართობი გადაცემებისა.

ასევე ფინანსური კუთხითაც ჩატარებული კვლევების თანახმად გამოვლინდა, რომ სპონსორობის მხრივ გაცილებით მაღალი მოთხოვნაა საინფორმაციო ტიპის გადაცემებზე, ვიდრე გასართობზე.

ლიცენზიის სახეობის შეცვლის ერთ-ერთ მოტივს ასევე წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ შპს „იბერია TV" წლების მანძილზე ფლობდა საერთო საეთერო ტელემაუწყებლობის ლიცენზიას და წარმატებით ანხორციელებდა მაუწყებლობას მის სამაუწყებლო ზონაში. მაუწყებლობის წარმატებით განხორციელების ფაქტს მოწმობდა მაუწყებლობის პერიოდში არსის რეიტინგი და ნდობის მაღალი ფაქტორი საზოგადოებაში. 2004 წლის საზოგადოებისათვის ცნობილი მოვლენების შედეგად, ტელეკომპანიის კუთვნილი საერთო საეთერო ტელემაუწყებლობის ლიცენზია NB106 (ყოფილი N107 ლიცენზია) არამართლზომიერი გზით გადავიდა სხვა პირის, კერძოდ, შპს „აისის" მფლობელობაში. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის2009 წლის 13 თებერვლის N64/2 (შპს „ტელეკომპანია აისი" –ს №702 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2009 წლის 26 ივლისის №366/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ") გადაწყვეტილებით, შპს „აისის" განცხადების საფუძველზე და შპს „იბერია TV" - ის ნების საწინააღმდეგოდ, განხორციელდა ლიცენზიის მოდიფიცირება და მაუწყელობის სახეობად განისაზღვრა სპეციალიზებული (შემეცნებით მუსიკალურ-გასართობი) ტელემაუწყებლობა.

მოგვიანებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 26 ივლისის N476/6 (შპს ტელეკომპანია "აისის" კერძომაუწყებლობის №B106 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოდიფიცირების თაობაზე) გადაწყვეტილებით, შპს „აისი"-ს გაუგრძელდა ლიცენზიის მოქმედების ვადა და ლიცენზიის სახეობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კიდევ ერთხელ მოახდინა

მისი მოდიფიცირება, ამჟამად, მაუწყებლობის სახეობად განისაზღვრა სპეციალიზებული (გასართობი) ტელემაუწყებლობა.

2013 წლის 17 ოქტომბერს შპს „იბერია TV"-ს თბილისის საქალაქო სასამართლოსში მიმდინარე დავის ფარგლებში, სასამართლო განჩინების საფუძველზე დაუბრუნდა მისი კუთვნილი ლიცენზია, თუმცა შეცვლილი სახეობით.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „იბერია TV"-ს კუთვნილი ტელემაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიცირება სპეციალიზებულ (გასართობ) ტელემაუწყებლობად მოხდა მისი ნების საწინააღმდეგოდ, სხვა პირების მიერ ლიცენზიის არამართლზომიერი ფლობის პერიოდში;

იმის გათვალისწინებით, რომ ტელეკომპანია შპს „იბერია TV" ორიენტირებულია მაყურებლის მოთხოვნაზე და მისი სამომავლო სამაუწყებლო პოლიტიკა განპირობებულია მაყურებლის პრიორიტეტებით;

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩვენი სამაუწყებლო არსი დაიტვირთოს არა მხოლოდ გასართობი პროგრამებით, არამედ ყოველდღიური ასალი ამბებითა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გადაცემებით, რაც მაღალი რეიტინგის მომტანი იქნება არხისთვის.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად: „1. ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში ცვლილებების ან/დადამატებების შეტანა;

ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/დადამატებების შეტანის თაობაზე. „

მიგვაჩნია, რომ შპს „იბერია TV"-ს განცხადება ლიცენზიის მოდიფიცირების მოთხოვნით სათანადოდაა დასაბუთებული და გაფორმებულია შესაბამისი მტკიცებულებებით, რის გამოც, კომისიას მივმართავთ თხოვნით, მოახდინოს შპს „იბერია TV"-ს კუთვნილი კერძო ტელემაუწყებლობის NB106 ლიცენზიის მოდიფიცირება; ლიცენზიის სახეობა ნაცვლად სპეციალიზებული (გასართობი) ტელემაუწყებლობისა განისაზღვროს საერთო ტელემაუწყებლობად.

თანდართული დოკუმენტაცია:

1. "SOCIAL PROJECTS" LTD-ის კვლევა წარმოდგენილი 4 (ოთხ) ფურცლად.

ფურცლების საერთო რაოდენობა 7 (შვიდი) ფურცელი.

პატივისცემით,

დირექტორი

ოთარ ჯაფარიძე

GEORGIA IBERIA TV LTD

ტელეკომპანია „იბერიის" დაკვეთით, კონსალტინგურმა კომპანია შპს „სოციალური პროექტები" 2015 წლის 15 იანვრიდან - 26 იანვრამდე, ჩატარა თვისობრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც, გამოკითხა 300 (სამასი) რესპონდენტი ქ. თბილისის მასშტაბით, კერძოდ კვლევამ მოიცვა ისანი-სამგორის, გლდანის, ნაძალადევის, სახურთაღოის, ვერას, ვაკის, მთაწმინდის რაიონები.

თვისობრივი კვლევა ჩატარდა - 18 წლის ზემოთ მოქალაქეებთან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, პირისპირ ინტერვიუს მეთოდით.

კვლევის მიზანი იყო შეესწავლა თბილისის მოსახლეობის პრიორიტეტები სატელევიზიო ეთერის სპეციფიკასა და ხასიათთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობის/ტელევიზიის მაყურებლების დიდი წაწილი, უპირატესობას ანიჭებს საინფორმაციო და პოლიტიკური/ანალიტიკური ხასიათის გადაცემებს.

გამოკითხულთა 26,7% აცხადებს, რომ ისურვებდა ტელეკომპანია „იბერიის" ეთერში პოლიტიკური სასიათის თოქ-შოუს ხილვას;

38,3%- მიიჩნევს, რომ ტელეკომპანიის ეთერში კვირის ანალიტიკური მიმოხილვა უნდა გადიოდეს;

ხოლო 35% - დღის შემაჯამებელ ანალიტიკურ გამოშვებას ანიჭებს უპირატესობას.

ამასთან, გამოკითხულთა 60,3% მიიჩნევს, რომ საინფორმაციო გამოშვება ტელეკომპანიის ეთერში მინიმუმ სამჯერ მაინც უნდა გადიოდეს, ხოლო 16,4% მოუხრეა საინფორმაციო გამოშვება გადიოდეს ყოველ საათში ერთხელ;

გამოკითხულ რესპონდენტთა 70%-სთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროა ტელევიზია, ამასთან გამოკითხულთა 73% - ტელევიზორს დღის მეორე ნახევარში, ძირითადად ახალი ამბების და მიმდინარე პოლიტიკური სიახლეების გაცნობის მიზნით უყურებს. ხოლო 13,3% ტელევიზორს მთელი დღის მანძილზე უყურებს და მათთვისაც მნიშვნელოვანია ახალი ამბების გამოშვების სისტემატიურობა და სტაბილურობა;

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ მაყურებლების ლაკვეთაა ტელეკომპანიის ეთერში საინფორმარციო და პოლიტიკური გადაცემების სისტემატიურობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზუსტად ეს ფაქტორები იქნება ტელეკომპანიის შეხედულების რეიტინგისა და ყურებადობის განმსაზღვრელი.

როგორი თემატიკის გადაცემებს აწიჭებთ უპირატესობას

1. საინფორმაციო – 46%
2. ანალიტიკური – 12%
3. გასართობი – 15.3%
4. შემეცნებითი -26,7%



კონკრეტულად რა ტიპის გადაცემის ხილვა გსურთ ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში

1. პოლიტიკური თოქ -შოუ – 26,7%
2. კვირის ანალიტიკური მიმოხილვა -38,3%
3. დღის შემაჯამებელი ანალიტიკური გამოშვება – 35%



როგორი პერიოდულობით (რა სიხშირით) უნდა გადიოდეს ახალი ამბების საინფორმაციო გამოშვება ეთერში

1. დღეში ერთხელ – 23,3%
2. დღეში სამჯერ - 60,3%
3. საათში ერთხელ – 16,4%



დღის რომელ მოწაკვეთში უყურებთ ტელევიზორს?

1. დღის პირველ წახევარში – 8,7%
2. დღის მეორე წახევარში – 73%
3. მთელი დღის მანძილზე – 13,3%
4. არ ვუყურებ – 5%



იწყორმაგების ძირითადი წყაროა:

1. ტელევიზორი – 70%
2. რადიო – 1,7%
3. ბეჭდითი მედია – 2,7%
4. ინტერნეტი – 25,6%



შპს „სოციალური პროექტები"

ს/კ 404 960 404

მის: საქართველო; თბილისი; ხვიჩიას ქ.36

ტელ: +995 223 88 33

დირექტორი /თეა ჩანკვეტაძე/